დანართი №1

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს წესი არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესს, რათა  უნივერსიტეტმა მიიღოს სტუდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლისთვისაც შეძლებს ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიცემას საკუთარი მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, აგრეთვე უნივერსიტეტის და/ან ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

**მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცედურა**

1. ყოველი სასწავლო წლის არა უგვიანეს 15 ნოემბრისა იწყება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესი მომავალი სასწავლო წლისთვის.
2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესს ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
3. ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტების წარდგინებით.
4. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინება უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას.

**მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია**

1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას ხდება შემდეგი სამიზნე ჯგუფების და მათი რაოდენობების გათვალისწინება:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე  ჩარიცხული სტუდენტები (მათ შორის უმაღლესი განათლების კანონით განსაზღვრული კვოტის ფარგლებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულები - აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი,  აფხაზურენოვანი  და  ოსურენოვანი სტუდენტები);

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტები;

გ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები;

დ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტები;

ე) საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტები;

ვ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირები;

ზ) მობილობით გადმოსული სტუდენტები და სხვ.

2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება წინა არანაკლებ სამი სასწავლო წლის სტატისტიკური მონაცემები სწავლების საფეხურების, ფაკულტეტების და/ან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, კერძოდ:

ა) გამოცხადებული საკონკურსო ადგილების რაოდენობა და რექტორის ბრძანებით ჩარიცხულთა რაოდენობა;

ბ) დარჩენილი ვაკანსიების რაოდენობა;

გ) სემესტრების (შემოდგომა/გაზაფხული) მიხედვით სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა;

დ) სემესტრების (შემოდგომა/გაზაფხული) მიხედვით სტატუსშეწყვეტილ სტუდენტთა რაოდენობა;

ე) სემესტრების (შემოდგომა/გაზაფხული) მიხედვით სტატუსაღდგენილ სტუდენტთა რაოდენობა;

ვ) მობილობით გადასულების რაოდენობა;

ზ) მობილობით ჩარიცხულების რაოდენობა.

3. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე:

ა) ფაკულტეტის მატერიალური და საინფორმაციო რესურსი და მისი თანაფარდობა სტუდენტების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან. კერძოდ: საერთო, სასწავლო და დამხმარე ფართის მოცულობა, სასწავლო აუდიტორიების რაოდენობა და მოცულობა, კომპიუტერული და სხვა სახის ლაბორატორიების მოცულობა და რაოდენობა, ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომობა, სივრცე სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის, კომპიუტერების და სხვა სახის ტექნიკური საშუალებების არსებობა და მათი რაოდენობა და სხვ.;

ბ) ფაკულტეტის ადამიანური რესურსი და მისი თანაფარდობა სტუდენტების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან; საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან;

გ) ფაკულტეტის ფინანსური შესაძლებლობები (მაგალითად, ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი სტრუქტურა პერსონალის ხელფასზე, სამეცნიერო კვლევებზე, სტუდენტურ სერვისებზე, პრაქტიკებზე, მივლინებებზე და სხვ.;);

დ) შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნების ანალიზი;

ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

ვ) უნივერსიტეტის და/ან ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები;

ზ) მიმდინარე სასწავლო წლისთვის დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობა.